

შვიდი სიტყვა ჯვრიდან
უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა
იესო ქრისტესი

თბილისი

2015 წელი

СЕМЬ СЛОВЪ

СПАСИТЕЛЯ И ГОСПОДА НАШЕГО

ИИСУСА ХРИСТА

на крестъ

რუსულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
თეოლოგიის მაგისტრმა გიორგი გველესიანმა

რეცენზენტ-რედაქტორი:

თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის

პედაგოგი გიორგი თოდუა

ISBN 978-9941-0-7887-3

თარგმნილია წიგნიდან: **СЕМЬ СЛОВЪ СПАСИТЕЛЯ И
ГОСПОДА НАШЕГО ИИСУСА ХРИСТА НА КРЕСТЪ**

цензоръ Протоіерей Александръ Смирновъ

МОСКВА

31 января 1900 года

цензоръ:

Протоіерей Александръ Смирновъ

МОСКВА

31 января 1900 года

თხემის¹ ადგილი

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჯვარს აცვეს იმ თხემზე, რომელიც იერუსალიმის დასავლეთ მხარეს მდებარეობდა (დაახლოებით 4 ვერსზე²).

ეს ბორცვი საყოველთაოდ ცნობილი გახდა, - საეჭვოა, რომ ამჟამად ქრისტიანულ ქვეყნებში მოიძებნოს ისეთი ოჯახი, სადაც მარხვისა და სინანულის დღეებში არ ყვებოდნენ გოლგოთის შესახებ, ემზადებიან რა დიდ და ნათელ დღესთან, დღესასწაულთა დღესასწაულთან შესახვედრად. სიტყვა გოლგოთა (Γολγοθάς) სირიო-ქალდეურია (სხვაგვარად - აღმოსავლეთ არამეული), რაზეც უფლის თანამედროვე პალესტინელი იუდეველები მეტყველებდნენ და აღნიშნავს „ქალათა ადგილს“³. სახარების სლავიანურ

„წყალობად და ჭეშმარიტებად შეიმთხვნეს,
სიმართლემან და მშუდობამან ამბორს-უყვეს.
ჭეშმარიტებად ქუეყანით აღმოსცენდა და სიმართლე
ზეცით გამოჩნდა“

(ფს. 84.11-12)

1 თხემი (დაბ. 49:26) - ზედეთი თავი მათათა თუ თავთა. - იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, მერანი, 1991წ., გვ. 318. (მთარგმ.)

2 1 ვერსი აღნიშნავს 500 საუენს. საუენი — ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეულია. ისტორიულ წყაროებში XI—XVII საუკუნეებში საუენის ზომა იყო 152 და 176 სმ. ეს იყო ე. წ. სწორი საუენი, რომელიც განისაზღვრებოდა ადამიანის გაშლილი ხელების სიგრძით (ერთი ხელის თითების ბოლოებიდან მეორე ხელის თითების ბოლოებამდე). ე. წ. ირიბი საუენი (ზომით 216 და 248 სმ) განისაზღვრებოდა სიგრძით ტერფის ძირიდან დიაგონალურად გაშლილი ხელის თითების ბოლოებამდე. 1835 წლის ბრძანებულებით, საუენი განისაზღვრა 7 ინგლისური ფუტით ან 84 დიუმიტით. ეს უდრიდა 3 არშინს ან 48 ვერშოკს (213,36 სმ). საუენისგან წარმოებულია კვადრატული საუენი (უდრიდა 9 კვადრატულ არშინს) და კუბური საუენი (უდრიდა 27 კუბურ არშინს). 1918 წელს რსფსრ-ში საზომთა მეტრული სისტემის შემოღების შემდეგ საუენი აღარ იხმარება. - იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბილისი, 1985, გვ. 97 (მთარგმ.).

3 ბერძნ. Κρανίου Τόπος, ლათ. Calvariae Locus, სწორედ ლათინურიდან მომდინარეობს გოლგოთის აღმნიშვნელი ინგლისური ტერმინი Calvary. (მთარგმ.).

თარგმანში გვხვდება: Κρανίεβο место (მთ. 27.33).

ძველებრაულ ენაში კი ეს სიტყვა უღერს, როგორც გოლგოლეთ.

ამ ტერმინის წარმომავლობის შესახებ წმინდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ნეტარ იერონიმეს მოსაზრებით, სახელი წარმოიშვა დასჯილ დამნაშავეთა თავის ქალებისა და ძვლების გროვიდან, რადგან მათს სხეულებს დასჯის ადგილზე დაუმარხავად ყრიდნენ.

მამათა უმეტესობა კი იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ გოლგოთამ ეს სახელწოდება ადამის თავის ქალისაგან მიიღო, რომელიც, გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ ადგილას იყო დათლული, რომელზეც ახალი ადამის, იესო ქრისტეს ჯვარი აღიმართა. ასე მიიჩნევდნენ, მაგალითად: წმინდა ათანასე ალექსანდრიელი, წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა ეპიფანე კვიპრელი, წმინდა ამბროსი მედიოლანელი.

აი, რას ბრძანებს წმინდა ბასილი დიდი (ესაია წინასწარ-მეტყველის განმარტება, თავი 5): „არსებობს გადმოცემა, რომელიც ეკლესიას დაუნერვლი სახით შემორჩა, რომ თითქოს იუდეის პირველი მკვიდრი ადამი იყო. იგი, სამოთხიდან განდევნილი, იმ ქვეყანაში [იუდეაში] საკუთარი დანაკარგების გამო ნუგეშინისცემის მიზნით დასახლდა. ამიტომაც სწორედ ხსენებულმა მინამ განიკუთვნა პირველად ადამიანის ცხედარი, როდესაც ადამზე მსჯავრი აღესრულა. იქ მცხოვრებმა [ადამიანებმა] სრულიად ახალი რამ იხილეს: თავის ქალა, გარშემო მდებარე რბილი ქსოვილებისგან განძარცვული. მათ ქალა იქვე განათავსეს და აღნიშნულ მიდამოს „თხემის ადგილი“ უწოდეს. სავარაუდოდ, არც ნოესთვის იქნებოდა უცხო ყოველ კაცის პირველმიზმის⁴

4 აღნიშნულ ადგილზე წმინდა ბასილი დიდი იყენებს ტერმინს – ἀρχηγός, რომლის ძველი ქართული შესატყვისია „მთავარი“, მაგრამ ასევე

სათლავი, რომელმაც წარღვნის შემდეგ გაავრცელა ეს ხმა. განკაცებულმა უფალმა ადამიანის მოკვდავობის პირველსაწყისი მოიძია და სწორედ ე.წ. თხემის ადგილზე ევნო, რადგან იქ, სადაც კაცის ხრწნილებას დაედო დასაბამი, სამეუფო ცხოვრება დაწყებულიყო და ადამში განძლიერებულ სიკვდილს ქრისტეს გარდაცვალებით დაეკარგა ძალმოსილება”⁵. ამაში მდგომარეობს ეკლესიის წიაღში თავიდანვე დამკვიდრებული ჩვეულება უფლის ჯვრის ფერხთით ადამიანის ქალის გამოსახულებისა, რომელსაც არა მხოლოდ სიმბოლური, არამედ ისტორიული მნიშვნელობაც აქვს, ეს არის თვალსაჩინო მითითება, მჭევრმეტყველური სიტყვა ჭეშმარიტ მოვლენაზე, რომელიც მკვეთრად აღიბეჭდება სულში. სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვება აქ თვალსაჩინოა.

გოლგოთა ბრალდებულთათვის დასჯის ადგილი იყო. ამიტომ, შინაგანი ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით, ვერავითარ გასაოცარს ვერ ვხედავთ იმაში, რომ იუდეველთა ნაამბობის შემდეგ პილატემ გადაწყვიტა უდანაშაულო იესოს განსჯა და ჯვარზე გასაკრავად გოლგოთაზე წაყვანა. ამ შემთხვევაში პილატე ადგილობრივი ჩვეულების შესაბამისად მოიქცა, რომლის მიხედვითაც, განსჯილებს ქალაქის მისადგომებთან, გოლგოთის მთაზე სჯიდნენ.

1860 წელი გავიდა მას შემდეგ⁶, რაც გოლგოთის კლდე ღმერთკაცის უწმინდესი სისხლით მოირწყო, და მას შემდეგ ქალათა ადგილი ერთადერთია არა მხოლოდ პალესტინაში,

შეიძლება ითარგმნოს, როგორც „პირველმიზმი“ და მასში კაპადოკიელი მღვდელთმთავარი ადამს გულისხმობს (მდრ. τῆν ἀρχηγὸν πάντων ἀσθρῶπαν... იხ. PG. t. 30, col. 348, D)

5 ციტატა აღებულია: რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალიდან, გული გონიერი, №11/2015, ორჟონია ი., აღდგომის საიდუმლო, გვ. 76-75

6 წიგნი, რომლითაც ვისარგებლეთ, წარმოადგენს მესამე გადაშუშავებულ გამოცემას, რომელიც დაიბეჭდა 1900 წელს. სავარაუდოა, რომ ავტორთა ჯგუფმა ეს ნაშრომი პირველად სწორედ აღნიშნულ დროს გამოსცა (მთარგმ.).

არამედ მთელს სამყაროში, რადგან მას წილად ხვდა გამხდარიყო კვარცხლბეკი საკურთხევლისთვის და - თავად საკურთხეველიც ღვთის კრავის დაკვლისას. ის წარმოადგენს ღმერთკაცის მთელი ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ დამასრულებელ ეტაპს, რაცაა სიკვდილზე გამარჯვება და ადამიანის უკვდავების საწყისი.

თავისი მოვლენებითა და საიდუმლოებით, რომლებიც მასზე აღსრულდა, გოლგოთა სამართლიანად ითვლება სინმინდედ და წმინდა ადგილად; ჭეშმარიტს ამბობს წმინდა ეკლესია, როდესაც მას სამოთხეს უწოდებს.

ის სული, რომელსაც უფალ იესოსი სწამს, შეუძლებელია უგულებელყოფდეს გოლგოთისეული ამბის თხრობას და არ უნდოდეს მისი გაგონება, რომელმაც სასიკვდილო მონობისგან კაცობრიობა გამოიხსნა.

მივაახლებთ რა ჩვენს ფიქრებს საიდუმლოებითი ჭვრეტით უფალ იესო ქრისტეს ვნებასთან გოლგოთაზე, წარმოვიდგინოთ მდგომარეობა, ღმერთკაცის ჯვარცმა და მასთან დაკავშირებული მოვლენები და განვმარტოთ ცნობილი შვიდი სიტყვა ან გამონათქვამი, რომლებიც უფალმა სიკვდილის წინა წუთებში წარმოთქვა.

II

მაცხოვრის პირველი სიტყვა ჯვრიდან

გამოავლინა რა გაუგონარი არაადამიანურობა ერთადერთი, ყოვლად უდანაშაულო ადამიანის მიმართ დასაძრახი სასიკვდილო განაჩენის გამოტანის დროს, პილატემ გადასცა იესო და „სცა შოლტითა“ (მარკ. 15.15), და „მოიყვანეს იგი გოლგოთას“ (მარკ. 15.22).

ცნობები იესოს მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ იუდეის საზღვრებს იყო გაცდენილი. მიუხედავად იუდეველთა

დაუდასტურებელი ბრალდებებისა, შესაძლოა სწორედ ამ ცნობების გამო აღძრულიყო პილატე, რათა მსჯავრი იესოს მიმართ მთელი ფორმალობის დაცვით აღესრულებინა, როგორც ამას რომის სამართალი ითხოვდა.

პილატემ განაჩენი წარმოთქვა ეგრეთწოდებულ ლითოს-ტროტონზე (λιθόστρωτον), ქვის ფიცარნაგზე, რომელიც ჩვეულებრივ სამსჯავროს ადგილად ითვლებოდა.

აქ დაჰკითხა მსჯავრდებული და მისი გაგულისებული შემსმენელნი. სწორედ აქ, მათი გადაბირების ბევრი ამო მცდელობის შემდეგ, თავისი უსამართლო განაჩენი წარმოთქვა. ახლა მხოლოდ განაჩენის აღსრულება რჩებოდა.

დაუძლურებული და სისხლიანი წყლულებით დაფარული იესო ლითოსტროტონიდან 28 საფეხურით დაბლა ქუჩაში ჩაიყვანეს. აქ მას დასასჯელი იარაღი - ჯვარი ელოდა ორ სიკვდილმისჯილ ავაზაკთან ერთად. ღვთის კრავს სამყაროს განგებულებისათვის თავად უნდა ეტარებინა მხრებზე ხის ჯვარი.

მცველებისა და ხალხის ბრბოს თანხლებით, მსვლელობა გაემართა პრეტორეადან ქუჩისკენ, რომელმაც შეიძინა სახელი „ტანჯვის გზა“ (Via Dolorosa).

განვლო რა დაახლოებით ოთხი ვერსი, ჯვრის სიმძიმის გამო მარცხენა შესახვევში დატანჯული მაცხოვარი წაიქცა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მარჯვნივ გადაუხვია, დასავლეთის მიმართულებით, სადაც გზა კიდევ უფრო დამძიმდა.

უფალმა თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, სწორედ ამ მოსახვევში განიცადა უწყვეტი შეურაცხყოფა, გვემა, გაშოლტვა, რომელსაც არც დღისით და არც ღამით წუთიერადაც კი არ ჰქონია მოსვენება. გადაიყვანეს რა სასახლიდან სასახლეში დაკითხვის პროცესში, ყველგან უმონწალოდ გვემული ჯვრის სიმძიმის გამო ისევ დაეცა, აღარ შეეძლო გზის განგრძობა.

ჯვარი ვინმეს უნდა წაეღო, რადგან იესოს აღარ შეეძლო

მისი ზიდვა. ვის უნდა წაელო? ჯალათები, რა თქმა უნდა, არ წაიღებდნენ, ებრაელებს კი ჯვართან შეხებაც კი შეზღუდვად მიაჩნდათ... სწორედ ამ დროს მათ შეხვდებოდა უცხოელი, კვირინელი სიმონი და მას აიძულებენ წაღებას, თუმცა თვითონ არ იყო უარზე, ეტვირთა უფლის ჯვარი. ამასთან დაკავშირებით ლეონ რომის პაპი ბრძანებს: „შემთხვევითი არ არის, არამედ საიდუმლოებითად და სასწაულებრივად აღსრულდა, რომ ქრისტესთან ერთად ვნებისათვის განემზადა არა იუდეველი, არამედ უცხოტომელი. ჯვრის ტვირთით უწმინდესი კრავის სისხლით წყალობა და საიდუმლოთა მთელი სისავსე წინადაცვეთილთაგან წინადაუცვეთელებზე გადავიდა, ხორციელი თესლიდან სულიერზე“.

კიდევ ას ნაბიჯზე მეტი გადადგა, ტანჯვის გზის მარცხენა მხარეს მდებარე სახლიდან ქალი გამოვიდა, რომელსაც, გარდამოცემის თანახმად, ვერონიკა ერქვა და უფალს სახიდან არდავით სისხლი მოსწმინდა.

მოსეს რჯულის თანახმად, გარკვეული ცხოველები, აღიარებდნენ რა მასზე ერის ცოდვებს, უნდა გაეძევებინათ მონუმბის კარვიდან. ასევე სხვა სამსხვერპლო ცხოველებსაც მონუმბის კარვის გარეთ წავუდნენ.

ის, რაც წინასახე იყო, ჭეშმარიტად ახდა. იესო ქრისტე არის „ტარიგი ღმრთისად, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ (ინ. 1.29), რომელიც მიჰყავთ ქალაქის მისადგომებთან, რათა ჯვარს ეცვას და სამყაროს, კაცობრიობის გამოხსნისათვის მსხვერპლი გაიღოს. „ამისთვისა იესუ, რადთა წმიდა-ყოს თვისითა სისხლითა ერი, გარეშე ბჭეთა ივნო“ (ებრ. 13.12). მასთან ერთად მიჰყავდათ ორი ავაზაკი, რომელთაც იესოსთან ერთად ჯვარს გააკრავდნენ. „და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყვს, ვითარმედ: უსჯულოთა თანა შეირაცხა“ (მრკ. 15.28). აი ტანჯვის გზა დასასრულს მიუახლოვდა: იესო აღიყვანეს გოლგოთაზე და კლდეში გამოჭრილ მღვიმეში

შეაყენეს, სადაც ჩვეულებისამებრ როგორც დატყვევებულს ისე იცავდნენ, სანამ დასჯის წუთი არ დადგებოდა. იმ დროისათვის სასჯელის აღმსრულებელი აუცილებელ სამზადისს შეუდგნენ.

გოლგოთის ბორცვის ყველაზე აღმატებულ ადგილზე ჯვრის აღსამართად ორმოს თხრიდნენ, სხვები ჯვარს ამზადებდნენ. ის ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს, იყო ოთხდაბოლოებიანი (четвероконачный, τετραπέρατος) და შედგებოდა სწორი გრძელი ძელისა და განივისაგან, რომელიც წვერიდან არც ისე დიდად იყო დაშორებული.

ზუსტად არ ვიცით, თუ რომელი ხისგან დაამზადეს ჯვარი. ერთნი ფიქრობენ, რომ ჯვარი უბრალო ხისგან იყო გაკეთებული, ხოლო სხვები სხვადასხვა ძვირფას ჯიშს უკავშირებენ. წმინდა მამათა გარკვეულმა ნაწილმა კი გამოთქვა მოსაზრება, რომ მაცხოვრის ჯვარი შედგებოდა კედრის, ფინიკისა და კვიპაროსისგან, რისი დასაბუთება შეიძლება. პირველ რიგში, ჯალათებს შეეძლოთ ამის გაკეთება უბრალოდ ეკონომიის გამო მშენებლობიდან მოტანილი მორებისაგან. მეორე მხრივ, ეს აღასრულეს, რათა განერჩიათ შეამბოხე ბრალდებული მასთან ჯვარცმულ ავაზაკთაგან, როგორც „იუდეველთა მეფე“.

დანამდვილებით არ შეგვიძლია იმის აღნიშვნა, იყო თუ არა ჯვართან მიმაგრებული ფეხის დასადგამი. ადრეულ საეკლესიო ავტორებთან არავინ აკეთებს რაიმე სახის მითითებას მასზე. პირველად ამის თაობაზე VI საუკუნის მოღვაწე გრიგოლ ტურელი საუბრობს⁷ | წიგნის VI თავში

7 გრიგოლ ტურელი (ლათ. Gregorius Turonensis; ფრანგ. Grégoire de Tours; ნამდვილი სახელი და გვარია გეორგიუს ფლორენციუსი; (დ. 30 ნოემბერი, 538 -გ. 17 ნოემბერი, 594) - ფრანკების ისტორიკოსი და ჰაგიოგრაფი. 573 წლიდან ტურის ეპისკოპოსი. დაიბადა კლერმონ-ფრანში, ოვერნის წარჩინებულ გალურ-რომაულ ოჯახში. აღიზარდა კლერმონის ეპისკოპოსის გალ კლერმონელის მიერ. გრიგოლის ოჯახს როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ზიკამისი იყო ქალაქ კლერმონის ეპისკოპოსი. ტურელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ფრანკთა მეფეების სიგებერტის, გუნტრამისა და ჰილდებერტ II-ის კარზე. იყო მეროვინგების

„ქება მონამეებს“. წარწერიანი დათა, რომელიც მოკლედ წარმოაჩენდა ბრალდებულის დანაშაულს, რომელიც კანონების შესაბამისად იყო გაკეთებული და, მართლაც, გრძელ ძელზე მიმაგრებული იყო დათა შემდეგი წარწერით: „იესუ ნაზარეტელი, მეუფეჲ ჰურიათაჲ“ (ინ. 19.19). იუდეველები შეეცადნენ პილატეს თვალში იესო ღვთისმგმობად და სახელმწიფოს მტრად წარმოეჩინათ, თითქოსდა მას საკუთარი სამეფო ჰქონდა. პილატეს არ შეეძლო არ დაენახა, რომ იესო უდანაშაულო იყო და სასიკვდილო განაჩენს არ იმსახურებდა. ამიტომაც მას არ შეეძლო მასზე იმაზე მეტი ეთქვა; რაც დაწერა, იყო ჭეშმარიტება, რომ იესო იყო აღთქმული მესია, ძე ღვთისა, მეუფე ჰურიათა.

პილატემ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ამ წარწერით უაღმატებულეს ჭეშმარიტებას გააცხადებდა. თავად მას სულ სხვა განზრახვა ჰქონდა: თავისი ამპარტავნებითა და ექვმაღლობით იუდეველებს მათგან მიღებული შეურაცხყოფის გამო მიუბლო. იესოს განსჯისას ისინი მუდმივად ეწინააღმდეგებოდნენ პილატეს და მის დასჯას აიძულებდნენ. პილატემ იესოს სახით იუდეველები საყოველთაოდ შეარცხვინა და შეურაცხყო. სწორედ ამიტომაც წარწერა გაკეთდა არა მარტო ერთ ენაზე, არამედ სამზე: ებრაულ ე.ი. სიროქალდეურზე, რომელზეც იმჟამინდელი იუდეველნი მეტყველებდნენ, ბერძნულსა და ლათინურზე, რომლებიც გავრცელებული იყო მთელს პალესტინაში.

ჯვარზე ასეთი წარწერა იყო არა მხოლოდ სრული უდანაშაულობისა და ღმერთკაცის სამეფო დიდებისა,

სახელმწიფოს გავლენიანი სასულიერო პირი. მისი ძირითადი ნაშრომია „ფრანკთა ისტორია“ (ლათინურ ენაზე, 10 წიგნად), რომელიც წარმოადგენს V-VI საუკუნეების ფრანკთა სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის მთავარ წყაროს. გრიგოლ ტურელი აგრეთვე წმინდანთა ცხოვრების და სხვა საეკლესიო თხზულებების ავტორია. გარდაიცვალა 594 წელს, სავარაუდოდ 17 ნოემბერს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მისი ხსენების დღეს. - იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი, 1978, გვ. 269 (მთარგმ.).

არამედ პილატეს შინაგანი ზიზღის გამოხატულება და იუდეველების მიმართ ერთგვარი ფარული შურისძიება.

აი, ჯვარი მზად არის. დამსჯელები ქვაბში შევიდნენ, გამოიყვანეს იესო და შორიახლო ორმოსთან დასვეს, რომელიც მომზადებული იყო ჯვრის აღსამართად. განსჯილებს ჩვეულებისამებრ დასაღვევად აძლევდნენ ძლიერ, არომატულ ნაყენში გაზავებულ ღვინოს, რომელსაც სახარება „შემურვილ ღვინოს“ (მრკ. 15.23) უწოდებს. ის არა მხოლოდ წყურვილს უკლავდა ადამიანს და წაქცეულს ძალას აძლევდა, არამედ გონებასაც უბინდებდა და ცნობიერებასაც ასუსტებდა. ამიტომაც ეს სასმელი დასჯილთათვის ჯვარცმის სატანჯველისას ჭეშმარიტად შემამსუბუქებელი და მანუგეშებელი იყო. გოლგოთაზე სწორედ მაშინ მიიტანეს ეს ღვინო.

ღვინის გარდა, ძალების მოსაკრებად და დასარწყულებლად განსჯილთათვის ხანდახან უბრალო ძმარი მოჰქონდათ. ღვინო და ძმარი უფალსაც შესთავაზეს დასაღვევად. მტანჯველნი აქაც არ გაჩერებულან: იესოს ისევ დამცირების მიზნით, მათ ძმარს *ნაღველი* შეურიეს. როდესაც იესოს ეს ნაყენი მიანოდეს დასარწყულებლად, მან წინასწარმეტყველების აღსასრულებლად მხოლოდ გასინჯა, მაგრამ არ დაუღვევია (მთ. 27.34), ნაყენში გაზავებული ღვინო კი არ ისურვა (მრკ. 15.23). ახლა მხოლოდ ღვთის კრავის ძელზე აყვანა და დაკვლა იყო საჭირო, მაგრამ საამისოდ თავიდან ჯერ ეკლის გვირგვინი უნდა მოეხსნათ, რათა შემდეგში კვართი შემოეძარცვათ.

კვართის გახდის შემდეგ იესოს თავზე კვლავ ეკლის გვირგვინი დაადგეს, შემდეგ ჯვარზე გააკრეს: ჩაქურჩის დარტყმებით მისი უწმინდესი სხეული ჯვარზე მიაღურსმეს. შემდეგ მიწიდან ჯვარი აღმართეს და მიწაში ჩაამაგრეს. ზეცასა და ქვეყანას შორის ქვეყნიერების გამომხსნელი იყო აღმართული.

მთელი სამყარო გაოცებული იყო ამ ახალი და გაუგონარი

მოვლენით, მიწაზე აღმართული იყო ახალი სიცოცხლის ხე. ჯვარცმასთან მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი. ერთნი გოლგოთის გავლით საკუთარ საქმეებზე მიდიოდნენ და მათს ყურადღებას ღიდად შემანუხებელი სანახაობა იპყრობდა, სხვები კი ცდილობდნენ ენახათ ჯვარცმულების ტანჯვა და სიკვდილი, უმთავრესად კი - იესოსი. აქვე იყვნენ მღვდელმთავრები, მწიგნობრები და ფარისევლები. ისინი პირველივე შეხედვისთანავე გულისწყრომით ივსებოდნენ და ერთმანეთთან უფლის მიმართ რისხვას გამოხატავდნენ. როდესაც მღვდელმთავრებმა ტანჯული მაცხოვრის თავზე წარწერა ამოიკითხეს, მიხვდნენ პილატეს ფარულ აზრს და მიმართეს თხოვნით, რომ ტექსტი შეეცვალა. ისინი სთავაზობდნენ შემდეგს: „*მეუფე ჰორიათაჲ ვარი მე*“ (ინ. 19.20), მაგრამ პილატეს არაავითარი მზაობა არ გამოუხატავს წარწერის შესაცვლელად: „*რომელი დაწერე, დაწერე*“ (ინ. 19.21). ამ უარმა იესოს მოწინააღმდეგეთა რისხვა გააორკეცა. ისინი გაცოფდნენ და უფალს ახალი სიმძაფრით ეკვეთნენ. მას რისხავდა ერი, მეომრები, ჯალათები, მათთან ერთად - ჯვარცმული ავაზაკებიც: *შენ თუ ხარ მეუფე ჰორიათაჲ, იჯსენ თავი შენი* (ლკ. 23.37).

გოლგოთის მალლობზე იმ დროს აღსრულდა წინასწარმეტყველება მესიის სამოსლის გაყოფასა და კვართის წილისყრაზე, რაც ჯერ კიდევ მეფე დავითმა ბრძანა: „*განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განივდეს წილი*“ (ფს. 21.19). საგულისხმოა, რომ ეს კვართი იესოს ხორციელი დედის (ნაქსოვი) იყო, რომელიც მენამულისა და თეთრისაგან ბრწინავდა. კვართის განსაკუთრებული ღირსება მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვეულებრივი სამოსის ქსოვის წესის მსგავსად არ იყო შეკერილი, არამედ ქსოვა ზევიდან იწყებოდა და უშუალოდ ღვთისმშობლის ხელით იყო ნაქსოვი. წილისყრის დროს კვართი ერთ-ერთ ჯარისკაცს ხვდა, რის შემდეგაც მეომრები ჯვრის ქვეშ განლაგდნენ.

სიკვდილის წინა წუთებში მხსნელმა წარმოთქვა თავისი პირველი სიტყვა ჯვარზე:
„მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“
 (ლკ. 23.34).

III

მაცხოვრის მეორე სიტყვა ჯვრიდან

მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს ჩვენი დროით დაახლოებით 12 საათზე. უფალს ყველა მასხრად ივდებდა, მასთან ერთად ჯვარცმული ავაზაკებიც კი. ერთ-ერთ მათგანს, ჯვარცმის ტკივილებით გვემულს, იესოს საწინააღმდეგოდ მხოლოდ გმობა აღმოხდა. არ ჰქონდა რა მას მესია-მხსნელისადმი რწმენა და არც მარადიული ნეტარების სასოება, ამ სასონარკვეთილ ადამიანს გონებას უღრღნიდა მხოლოდ თავისუფლებაზე ფიქრი; მან იესოს გათავისუფლება სთხოვა, თითქოს აღიარებდა მის მესიობას, სინამდვილეში კი მისთვის უსუსურ ადამიანს დასცინოდა. „*შენ თუ ხარ ქრისტე*, - ამბობდა ის, - *იჯსენ თავი შენი და ჩუენსა*“ (ლკ. 23.39). თავდაპირველად მეორე ავაზაკიც ასე ეპყრობოდა მაცხოვარს (მთ. 27.44); სახარებისეული უწყების თანახმად, ასე განჯვრეტს ეკლესიის მრავალი წმინდა მამა (მაგ.: წმინდა იოანე ოქროპირი, ჰომილია 87; კირილე იერუსალიმელი, მე-13 კატეხიზისი).

გოლგოთაზე თანადროული მოვლენებისას ცაზე ნიშანი გამოჩნდა: ახლოვდებოდა მზის დაბნელება. ყველა გაოცდა, მათ სინდისი უნდა გაღვიძებოდათ. დაცინვისა და შეურაცხყოფის ხმები ნელ-ნელა წყდებოდა. ყველა გაჩუმდა, გაისუსა, რალაც განსაკუთრებულს ელოდნენ.

უფლის ჯვრის გარშემო დასადგურებულმა სიჩუმემ, მოახლოებულმა შიშისმომგვრელმა სასწაულმა, წმინდა

ოჯახის ეგვიპტეში ლტოლვისას ჩვილ იესოსთან შეხვედრის გახსენებამ⁸ თუ იესოს ლოცვამ მტრებისთვის, ქრისტეს ხელმარჯვნივ მყოფი ავაზაკი ჭეშმარიტების გზაზე მოაქცია და უწინდელი მონინაალმდევე ამ ყველაფერმა სხვად გარდაქმნა. მოახლოებული წყვდიადისას მან შინაგანი ზეგარდამო გასხივოსნება და საკუთარი ცოდვების სიღრმისეული შეცნობის უნარი მიიღო. მან თანამოძმის დამოძღვრაც კი დაიწყო, შეავიწყებდა რა, რომ იესო არ დაემცირებინა.

სრული სინანულითა და თავმდაბლობით აღიარა მან თავისი ცოდვები, არა მხოლოდ უწინდელი, არამედ ჯვარზე ჩადენილიც; მონანულმა ავაზაკმა იესოს მიმართა: „მომიწსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუთვევითა შენითა“ (ლკ. 23:42). იესომ უპასუხა: „ამინ გეტყვ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“ (ლკ. 23:43). ეს გახლდათ მაცხოვრის მეორე სიტყვა ჯვრიდან.

მონანულმა ავაზაკმა უფალს მხოლოდ თავის სამეფოში მოხსენიება სთხოვა, მაგრამ ამის თხოვნისას სასურველის ბოძების სასოება ჰქონდა. მისი თხოვნა კი თავისთავად აღამიანთა გამოსყიდვის დასაბამი გახდა და მაცხოვარმაც

8 არსებობს ვადმოცემა, რომ წმინდა ოჯახის ეგვიპტეში ლტოლვისას მათ ავაზაკთა ჯგუფი დაესხა თავს, რომელთა შორისაც ეს ორი ავაზაკიც იყო. აპოკრიფულ ძეგლში „ნიკოდიმოსის სახარება“ მათ ჰქვიათ გესტასი და დისმასი. XIII საუკუნის მოღვაწე ჯაკობო ვორაგინელი თხზულებაში „ოქროს ლეგენდა“, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანული გარდამოცემებისა და წმინდანთა ცხოვრების თხზულებათა ნაკრებს, გვაუწყებს, რომ მათ ერქვათ გესმასი და დისმასი. ხოლო აპოკრიფი „არაბული სახარება“ მათ დუმაქოსსა და ტიტუსს უწოდებს. არსებობს ასევე გარდამოცემა, რამაც წმ. ნილოს მირონმდინარესთანაც ჰპოვა ასახვა, რომ ეგვიპტეში ლტოლვისას სოფელ ექსანიონში (ΕΞΑΝΙΩΝ) წმ. ოჯახს ადგილობრივი კომლი უმასპინძლებს. სტუმართათვის ვახშმის მოსამზადებლად გართულ მასპინძლებს დარჩებათ უყურადღებოდ საკუთარი ჩვილი, რომელიც დასაწყნარებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გამოკვება. ამ განმარტების თანახმად სწორედ ეს ყრმა აღმოჩნდება მონანული ავაზაკი. - იხ. წმ. ნილოს მირონმდინარე, ამბავი ჯვარცმული ორი ავაზაკისა და იუდა ისკარიოტელის მძიმე ცოდვები, [თარგმ. თ. საგანელიძე], თბილისი, 2006. (მთარგმ.).

დიდად გაიხარა კაცობრიობის განახლების დანწყებით.

„უწინარეს ყოველთასა იხსნა იგი და სამოთხისა კარნი განულო მას“ (ე.ი. ავაზაკს) წარმოთქვამს წმინდა ეკლესია, იხსენებს რა ამ მოვლენას.

IV

მაცხოვრის მესამე სიტყვა ჯვრიდან

იყო ზუსტად შუადღე, როდესაც დაბნელდა. ეს იყო მზის დაბნელება, ჭეშმარიტად სასწაულებრივი და სავსებით მოულოდნელი, რადგან მისი განსაზღვრა შეუძლებელი იყო ცის მნათობებზე ჩვეულებრივი დაკვირვებით. მზე ჩადიოდა, მთვარე კი ისწრაფვოდა მასა (ე.ი. მზესა) და გოლგოთას შორის ყოფნას.

დიონისე არეოპაგელი პოლიკარპესადმი ეპისტოლეში ბრძანებს: „ის მიდიოდა მზის აღმოსავლეთის რკალით, განაგრძობდა რა მასთან თანხვედრას მისთვის საწინააღმდეგო მიმართულებით, ხოლო შემდეგ უკან შემობრუნდა და ჯერ ის მხარე კი არ განწმინდა, რომელიც თავდაპირველად მოიცვა, არამედ საპირისპირო, ე.ი. დასავლეთისა“.

მთვარე თავის განსაზღვრულ ადგილას უწინდელი გზით წავიდა, ანუ დასავლეთით კი არა, აღმოსავლეთით. მზე და მთვარე ზუსტად გოლგოთის პირდაპირ იდგნენ. მზე დაბნელდა, მთვარე სინათლეს არ აძლევდა, ცა სრულიად მოიქუტრა, გამოჩნდნენ ვარსკვლავები, რომლებიც სისხლს ირეკლავდნენ. ჰაერი ცივი გახდა, სიბნელემ მთელი დედამიწა დაფარა. საყოველთაო ძრწოლამ ქვეყანა მოიცვა, რომელმაც, როგორც აღამიანები, ასევე პირუტყვებიც შეძრა.

ეს საძინელება იმით გამძაფრდა, რომ უდიდესი სასწაული სამი საათით გაგრძელდა. ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა - მზის დაბნელება არ გრძელდება ამდენ ხანს,

არამედ ამ შემთხვევაში შემოქმედმა განსაზღვრა მნათობთა მოძრაობა. მისი ნახვა ერთსა და იმავე დროს შესაძლებელი იყო სამყაროს ნებისმიერ კიდეში.

დიონისე არეოპაგელი, (იმხანად წარმართი), რომელიც ეგვიპტურ ქალაქ ჰელიოპოლისში ასტროლოგიას სწავლობდა, გვაუწყებს, რომ მას ამ უჩვეულო მოვლენის ხილვისას აღმოხდა: „ან ღმერთი, სამყაროს შემოქმედი ევენება, ან ხილული სამყარო ამთავრებს არსებობას!“

გოლგოთაზე ყველა შეძრწუნებული იყო ამ ხილული საშინელებით. დადგა მღუმარების წუთი. უფლის მტრებმა გაათავისუფლეს ჯვრამდე მისასვლელი. და აი, იესოს ყოვლადწმინდა დედამ, რომელსაც მიუძღოდნენ და ამხნევებდნენ (მენელსაცხებლეს) დედები, რომელთა შორისაც იხსენიებია: *„მარიამ კლეოპატრი და მარიამ მაკდალენელი“* (ინ. 19.25) და იოანე, რომელიც უფლის საყვარელი მოწაფე იყო, ახლა უკვე თავისი საყვარელი ძის ჯვართან ახლოს მივიდა.

იესომ საღვთო სიყვარულით მიაპყრო დედას თვალები, შემდეგ მზერა იოანეზე გადაიტანა და დედას მიმართა:

„დედაკაცო, აჰა ძე შენი!“ კვლავ დედას უმზერს და იოანეს მიმართავს: *„აჰა დედაძე შენი“* (ინ. 19.27).

ასეთია მაცხოვრის მესამე სიტყვა ჯვრიდან. რას გვიცხადებს იგი? ის წარმოადგენს აღთქმას, რომელსაც აქვს დაფარული განგებულება და არ მიემართება მხოლოდ იოანეს.

იოანეს მეშვეობით ის მთელს კაცობრიობას ეძლევა, მათ, რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ჯორცთაგან, არცა ნებითა მამაკაცისაგან, არამედ ღმერთისაგან იშვნეს (ინ. 1.13), უფალი მათ თავის დედას შვილებად განუკუთვნებს.

V

მაცხოვრის მეოთხე სიტყვა ჯვრიდან

დადუმებული იყო რა უფალი, სიკვდილისწინა ანდერძი წარმოთქვა, წყვდიადი კი გრძელდებოდა. გოლგოთაზე სიჩუმე მეფობს. არც ჯვარზე გაკრულნი, არც ჯარისკაცები არ წარმოთქვამდნენ სიტყვას. უფლის ახლობლებიც ან ვერ ბედავდნენ, ან კიდეც გულისტკივილის გამო არ შეეძლოთ დუმილის შეწყვეტა.

ამჟამად, იესოსთვის რომელიმე წინასწარმეტყველის მიერ წინასწარ დანახული ენით გამოუთქმელი ტანჯვის საშინელი წუთი დადგა. ახლა იესოს აღარათფერი აკავებდა ამ სამყაროში: თავისი დედა იოანეს ჩააბარა, ხოლო იოანე - თავის დედას, მაცხოვარი მთელ სამყაროში ეულად დარჩა ნათესაებისა და ახლობლების, ყოველგვარი ადამიანური შემწეობისა და ამქვეყნიური ნუგეშის გარეშე. ის არ ეკუთვნოდა არავის სამყაროში იმის გამო, რომ მიკუთვნებოდა სხვებს, მთელს კაცობრიობას. მაგრამ ტანჯვის სასმისი ბოლომდე არ მიეღო ჯერ. მას უნდა განეცადა მეტად მძიმე, უფრო მტანჯველი ვნება, რათა ჯვრის გმირულად მტვირთველი გამხდარიყო. დადგა ჟამი, როდესაც მაცხოვარს ჯვრის მთელი სიმძიმე უნდა ეტარებინა ყოველგვარი მცირე ნუგეშის გარეშე, როდესაც იგი უნდა ყოფილიყო დატოვებული არა მარტო მიწის მიერ, არამედ ზეცისა, არა მხოლოდ ხორციელი დედისაგან, არამედ ზეციური მამისგანაც, რა თქმა უნდა, არა საღვთო ბუნებით, რომლითაც ის მუდამ მამასთანაა, არამედ ადამიანურით, როგორც ღმერთისა და ადამიანების შემრიგებელი, როგორც ადამიანის ცოდვის თავსმდები და ასევე - სასჯელისა ცოდვის გამო.

იესო ქრისტემ მთელი სამყაროს ცოდვები ჯვარზე აზიდა. ადამიანის ნაცვლად ზეციური მსჯავრი საკუთარ თავზე მიიღო, საღვთო რისხვა მთელი სიმძიმით, ეს ყოველივე მას მარტოს უნდა აღესრულებინა, ზეცისა და ქვეყნის

სრულ მიტოვებულობაში. და ამ დროს, რამდენიმე წამის განმავლობაში, ღვთის მიერ იქნა დატოვებული.

ილი, ილი! ლიმა საბაქთანნი? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რადგანაჲს დამიტყვე მე? (მთ. 27.46) როდესაც მისმა ღალადისმა გოლგოთაზე საიდუმლოებითი სიჩუმე დაარღვია, დამსწრეთა ნაწილმა შესაძლოა მართლაც ვერ გაიგო უფლის სიტყვა, ხოლო ზოგიერთმა განზრახ მოაჩვენა თავი, რომ ვერ გაიგო და, თანახმად იმუამინდელი საერთო მოლოდინისა, თქვა: *„ელიას უჭმობს ესე“* (მთ. 27.47). რატომ ელიას? პირველ რიგში იმიტომ, რომ მესიის მოსვლამდე ებრაელები მოელოდნენ ღვთისმოსაობის ამ თავგამოდებულად დამცველი ადამიანის გამოჩენას. მეორე მხრივ კი ბევრი შესაძლოა აცდუნა იესოს მიერ წარმოთქმულმა პირველმა სიტყვამ: *„ილი, ილი! ლიმა საბაქთანნი“*, რადგანაც ეს სიტყვა (ილი) ძველებრაულ სახელ ელიას ძალიან ჰგავდა.

VI

მაცხოვრის მეხუთე სიტყვა ჯვრიდან

მაცხოვარი ჯვარზე სულითა და სხეულით ევენებოდა. ტანჯვისა და მწუხარების ცეცხლი წვავდა მის სულს, ხოლო სწეულების ცეცხლი მის სხეულს შთანთქავდა. ჩამოკიდებული იყო რა ზეცასა და მიწას შორის, ის აღივსო უძღურებით.

საბოლოოდ, ამ წუხილსა და სწეულებას დაერთო უფლისათვის ახალი სატანჯველი, ყველაზე საშინელი და გაუსაძლისი - წყურვილი. შესაძლოა, წყლის რამდენიმე წვეთს აღედგინა მისთვის დაკარგული ძალები ადრე, მაგრამ მას ნაღველში გარეული ძმარი და შემურვილი ღვწო მიანოდეს. არც ერთით და არც მეორით არ სურდა უფალს წყურვილის მოკვლა. მეომრებმა ჭურჭლით მთელი ძმარი

მანც მიართვეს, მაგრამ რისთვის? „მოუჭდიან მას და ძმარი მოართვან“ (ლკ. 23.36), კიდევ უფრო გასაღიზიანებლად და არა წყურვილის მოსაკლავად. უამითი უამად ის (წყურვილის გრძობა) უფრო ძლიერ იზრდებოდა. მალე კი სამი საათი ხდებოდა, რაც ჯვარზე იყო გაკრული. იესომ დაუძღურების უკიდურეს საფეხურამდე მიაღწია. მას შინაგანად ცეცხლი სწვავდა, ბაგეები სისხლისაგან დაუსკდა, ენა და ხორხი გაუშრა.

წყურვილისგან დატანჯული, პირველად და უკანასკნელად, თავისი ჯვრიდან მხოლოდ ერთ მოწყალებას, უკანასკნელ შველას ითხოვდა კაცისგან:

„მწყურის“ (ინ. 19.28) - დაიძახა მან. ეს იყო მაცხოვრის მეხუთე სიტყვა ჯვრიდან. მხოლოდ უფალმა წარმოთქვა ეს სიტყვა. მაშინ ერთ-ერთი მეომართაგან, რომლებიც ჯვარცმულთა ირგვლივ მცველებად იყვნენ განაწილებული, გაიქცა, აიღო ღრუბელი და დაიწყო მისი ძმრით გაზავება.

ცენტურიონი, რომელიც ჩვეულებისამებრ წესრიგს თვალყურს ადევნებდა, წინ არ აღუდგა თავის ქვეშევრდომთა კაცთმოყვრულ განზრახვას. საბოლოოდ მათ უსუპისაგან ხელჯოხი დაამზადეს, მასზე დაამაგრეს ღრუბელი და მათ შორის პირველმა უფლის დამსკდარ ბაგეებთან ღრუბელი აღმართა და მის დარწყულებას შეეცადა (ინ. 19.29).

იმ დროს, როდესაც მეომარი უფალს ასმევდა, ბრბო ღელავდა და ისმოდა იესოს მოწინააღმდეგეთა ხმები: *„აცადეთ, და ვიხილოთ, უკუეთუ ელია მოვიდეს წსნად მისა“* (მთ. 27.49). ამ საერთო უმსგავსობისას ეს მეომარიც იესოსგან განიდრიკა; მანაც დაცინვით გაიმეორა ბრბოს სიტყვები. თუ ვინ იყო ეს მეომარი - უცნობია, მაგრამ მისით კიდევ ერთი წინასწარმეტყველება აღსრულდა: *„და მცეს მე საჭმელად ჩემდა ნაგლეგი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“* (ფს. 68.22).

მაცხოვრის მეექვსე და მეშვიდე სიტყვები ჯვრიდან

იყო დაახლოებით დღის სამი საათი. უკვდავმა სიკვდილთან ჭიდილი დაიწყო. მისი სისხლის ბოლო წვეთები უკვე რწყავდნენ მიწას. მხოლოდ გულის არეში დარჩენოდა მცირეოდენი, როგორც სიყვარულის წინდი, მაგრამ იესომ ისიც კი არ დაინანა ადამიანისათვის. გამოსყიდვის განგებულება უკვე აღსრულდა. ამ სამყაროში დაყოვნების საჭიროება აღარ იყო. უფალი კვდებოდა, მაგრამ როგორც უფლებამოსილმა სიცოცხლის დადებისა და მისი კვლავ დაბრუნებისა (*„ჯელ-მენიფების დადებად და ჯელ-მენიფების კუალად მოღებად მისა* (ინ. 10.18)), ამ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის შემდეგ თქვა: *“აღსრულდა”* (ინ. 19.40), აღიმალა ეკლით გვირგვინმოსილი თავი, თავისი მიმქრალი მზერა ზეცისკენ მიმართა და *„ჯმა-ყო ჯმითა დიდითა: მამაო, ჯელთა მენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“* (ლკ. 23.46), თავი დახარა და სული განუტევა. იესოს ამ ლაღადისმა განმსჭვალა ზეცა, მიწაც და ქვესკნელიც. მთელმა სამყარომ გაიგონა და შეიყნო თავისი მეუფე და უფალი.

იესოს სიკვდილისთანავე ტაძრის კრეტსაბმელი ზევიდან ქვემომდე მყისიერად გაიპო. მიწა შეირყა, ქვები ჩამოიშალა, გოლგოთის კლდე გაიხლიჩა. მღელვარება საყოველთაო გახდა და თავის ზემორე ნიშნულს მაშინ მიაღწია, როდესაც იერუსალიმთან ახლოს მრავალი სამარხი გაიხსნა და მათგან ამოსული მკვდრები ქალაქში გამოჩნდნენ. გოლგოთასთან მდგომი ხალხი შიშისაგან შეძრწუნდა. ზოგი მკერდში იცემდა ხელს, როდესაც სახლში ბრუნდებოდა. საშინელებამ ყველა მოიცვა.

ჩვენი უფლის ჯვარზე ვნების ადგილი - გოლგოთა - ახლა იერუსალიმის შემადგენლობაშია, სადაც ამჟამად ქრისტეს აღდგომის ტაძარია აღმართული, აგებული

თავდაპირველად კონსტანტინე დიდის მიერ. მთელი სამყაროდან აქ გროვდება უამრავი ადამიანი, რომელიც ისწრაფვის ეთაყვანოს უფლის სინმინდის ადგილს.

